შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერების პროგრამა

ურთიერთშეფასების ეფექტურობა უნივერსიტეტის სტუდენტების წერის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებისას

(საქართველოს უნივერსიტეტების მაგალითი)

მარიამ მერკვილაძე

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჩქოტუა მაია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ექსპერტები

ნათელა დოღონაძე	პროფესორი, დოქტორი
ეკატერინე ფიფია	პროფესორი, დოქტორი

ოპონენტები

მარინე ჩაგელიშვილი	პროფესორი, დოქტორი
თამარ მიქელაძე	ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
ჯონ სმედს	პროფესორი, დოქტორი

შესავალი

რთულია უნივერსიტეტში სწავლისათვის საჭირო კომპეტენციებიდან განისაზღვროს რომელია მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი. თუმცა, წერის უნარ-ჩვევა მიჩნეულია ასათვისებლად ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ კომპეტენციად რიგი მიზეზების გამო. სტუდენტები მოიკოჭლებენ ამ უნარში და ნაკლებად მოტივირებულებიც არიან მის დასაუფლებლად. ბოლო წლებში ჩატარებულმა სხვადასხვა კვლევებმა ცხადყო რომ ენის შემსწავლელები გამოირჩევიან წერის უნარ-ჩვევის საკმაოდ დაბალი დონით (Giridharan, 2012; Haiyan & Rilong, 2014; Weiquang, 2015). დღესდღეობით შემსწავლელთა წერითი უნარ-ჩვევის განვითარების მიმართ მზარდი ინტერესია, ვინაიდან, უახლესი დეკადის განმავლობაში სხვადასხხვა კვლევამ გამოავლინა ინგლისურის როგორც უცხო ენის შემსწავლელთა წერითი კომპეტენციის საკმაოდ დაბალი დონე.

მიიჩნევენ რომ, დღესდღეობით შემსწავლელებს ნაკლები ინტერესი აქვთ წერის მიმართ. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სტუდენტები არ არიან მოწოდებულნი წერის მიმართ არის მათი დაბალი კომპეტენცია, რაც ხშირად, მათ თვითშეფასებაზეც ახდენს უარყოფით გავლენას, მოქმედებს რა მათ მოტივაციასა და ენთუზიაზმზე(Holmes, Waterbury, Baltriic, & Davis, 2018; Alseid & Ibrahim, 2017). მიიჩნევა, რომ თვითგამოხატვის წარუმატებელი მცდელობა და იმედგაცრუება განაპირობებს შემსწავლელებში შემოქმედებითობისა და მოტივაციის ნაკლებობას (Muslim, 2014). ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა უმრავლესობა როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქართველოში სხვადასხვა სირთულეს აწყდება წერის დროს, რის გამოც ვერ ახერხებს სათქმელის ეფექტურად გადმოცემას არა მხოლოდ უცხო ენაზე, არამედ, ხშირად, მშობლიურ ენაზეც კი. დაბალი ენობრივი კომპეტენცია, მწირი ლექსიკური მარაგი და ასევე, წერის სირთულე და გამოწვევები, შესაძლოა, განპირობებული იყოს შემსწავლელთა დამოკიდებულებით წერის მიმართ, მათი კულტურული მახასიათებლებით, პრინციპებით, და ღირებულებათა

სისტემით. ასევე, მიჩნეულია, რომ შემსწავლელები ხშირად არ წერენ, ხოლო ის რასაც წერენ მხოლოდ საკლასო გარემოზეა მორგებული (Adas, 2013). შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც წერა სხვადასხვა სირთულეებთანაა დაკავშირებული არის ის, რომ წერითი დავალებები და აქტივობები არ არის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებული.

ურთიერთშეფასება ითვლება შეფასების იმ საკვანძო მეთოდად, რომელსაც შეუძლია წერის პროცესი, ისევე როგორც მისი შეფასება ეფექტურად და შემსწავლელზე ორიენტირებულად აქციოს. ის ითვლება წერის სწავლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად და ეხმარება სტუდენტებს მის გაუმჯობესებაში (Pueghrom & Chiramanee, 2011). ყავდეთ რა თანატოლებს ერთმანეთი შეფასებისთვის, რჩევებისთვის და მიმართულების მიცემისთვის, მეტაფორულად სარკისებრი ეფექტის ტოლფასია, რომელშიც ირეკლება როგორც შეფასებულის, ასევე, შემფასებლის შესაძებლობები.

თანატოლებისთვის უკუკავშირის მიცემისა და ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით საქართველოში არც თუ ისე გავრცელებულია. უფრო მეტიც, არ არსებობს კვლევები, რომლებიც შეისწავლის ურთიერთშეფასების ეფექტურობას ინგლისურის, როგორც უცხოური ენის ლექციაზე საქართველოში. მიმდინარე კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის სწორედ ზემოთაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა და აღნიშნულ სფეროში ლიტერატურის შექმა რომელიც ქართულ კონტექსტზე იქნება მორგებული. მიმდინარე კვლევა იქნება პირველი მცდელობა როგორც ზოგადად ურთიერთშეფასების ეფექტურობის დადგენისა, ისე ერთის მხრივ, ერთმანეისთვის უკუკავშირის მიცემისა და მეორეს მხრივ, ერთმანეთისთვის ქულების დაწერის პრაქტიკის ეფექტურობის გამოვლენა ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერით დავალებებში. ზემოთაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, მიმდინარე კვლევას ექნება პრაქტიკული და თერიული ღირებულება როგორც

შემსწავლელთათვის, ასევე, ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექტორებისთვის, რაც მათ პროფესიულ ზრდას შეუწყობს ხელს.

კვლევის მიზნები

მიმდინარე სადოქტორო დისერტაციის უმთავრესი მიზანია გამოიკვლიოს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერითი კომპეტენციის ამაღლების ყველაზე ეფექტური სტრატეგიები ურთიერთშეფასების ორი ფორმის (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით) ინტეგრირებით საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს მოამარაგოს მკითხველი ზემოთხსენებულ სფეროში არსებული ლიტერატურით და პრაქტიკული სტრატეგიებით, რათა აამაღლოს ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა წერის უნარ-ჩვევის დონე. შესაბამისად, მიმდინარე დისერტაციის მიზნებს წარმოადგენს:

- დაადგინოს სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასების (უკუკავშირის) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასების ქულების გამოყენებით ეფექტურობა უნივერსიტეტის პირველკურსელთა წერითი უნარ-ჩვევის განვითარებაზე ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებისას.
- გამოიძიოს სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასების ზემოთაღნიშნულ ფორმებს შორის რომელია უფრო ეფექტური ინგლისურის როგორც უცხოური ენის შემსწავლელთა წერის უნარ-ჩვევების კომპეტენციის ამაღლებისთვის - სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე, თუ სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით.

პრობლემის აქტუალობა

საქართველოს მთავრობა მთავარ აქცენტებს სვამს განათლების სისტემის განვითარებაზე და განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებს უცხოური ენების სწავლებას, კერძოდ კი ინგლისური ენის სწავლებას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია აკადემიური და პროფესიული კუთხით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ ისეთ უნარებს, რომლებიც მათ პროფესილი ვალდებულებების წარმატებით შესრულებაში დაეხმარება. თუმცა, მათი წერის უნარ-ჩვევის დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის ერთ-ერთ მიზეზს ლექტორზე ორიენტირებული სწავლება და შეფასების სისტემა წარმოადგენს. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასების ქულების გარეშე და ქულების გამოყენებით დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა. მიუხედავად ამისა, საქართველოში არ არის ჩატარებული კვლევა ზემოთაღნიშნულ საკითხზე. გარდა ამისა, საქართველოში ტექნოლოგია მინიმალურ დონეზე გამოიყენება წერის უნარ-ჩვევის შეფასების დროს. ყველა ზემოთაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სადოქტორო დისერტაცია მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისთვის.

კვლევის სიახლე

ციფრული ტექნოლოგიების და სხვა საგანმანათლებლო საშუალებების ეფექტურობის შესახებ ლიტერატურა თანდათან იზრდება (Eady & Lockyer, 2013; Yunus, Nordin, Salehi & Hui Sun, 2013; Al-Mahrooqi & Troudi, 2014). მიუხედავად იმისა, რომ Google Docs-ის ეფექტურობის შესახებ არსებული ლიტერატურა იზრდება (Suwantarathip & Wichadee, 2014; Sharp, 2016), ამ კონკრეტულ სფეროში საქართველოს კონტექსტთან მიმართებაში ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობს. გარდა ამისა, ურთიერთშეფასების ეფექტურობასა და მის მნიშვნელობაზე უამრავი ლიტერატურა არსებობს (Bound & Falchikov, 1989; White, 2009; Praver, Rouault & Eidswick, 2011; Luc De Grez, 2012; Siow, 215; Killic, 2016). თუმცა, ქართულ კონტექსტში არ არის საკმარისი

ლიტერატურა ურთიერთშეფასების შესახებ. ხოლო კონკრეტულად ერთმანეთისთვის უკუკავშირის, ან ერთმანეთისთვის ქულების მინიჭების შესახებ ლიტერატურა საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგალითზე ფაქტიურად არ არსებობს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე სადოქტორო დისერტაცია სწორედ ურთიერთშეფასების ამ ორი ფორმის ეფექტურობის გამოვლენას ისახავს მიზნად. ის აქცენტს აკეთებს ამ ორი მეთოდის შედარებაზეც, რაც აღნიშნული კვლევის სიახლესაც წარმოადგენს, ვინაიდან, არ არსებობს კვლევა, რომელიც ერთი ექსპერიმენტის საფუძველზე ორი მეთოდის ეფექტურობას ადგენს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სადოქტორო დისერტაციის სიახლე არის Google Doc-ის გამოყენებით შეფასების ზემოთაღნიშნული ორივე ფორმის დანერგვის მოდელი, რომელიც მკვლევარის მიერაა შემუშავებული და შემოთავაზებული, რაც, ასევე, წარმოადგენს აღნიშნული კვლევის სიახლეს მკითხველისთვის.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

უდავოა, რომ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისათვის და ისეთი სასწავლო გარემოს შექმნისთვის, როგორიც თანხვედრაში იქნება თანამედროვე საკომუნიკაციო-ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღწევებთან. ყველაზე ეფექტური და უახლესი შეფასების მეთოდების ძიებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს განვითარებისთვის. იმისათვის, რომ ლექტორები აღიჭურვონ ყველა საჭირო ცოდნით, ზემოთხსენებულ საკითხებზე კვლევების ჩატარება და ახალი ცოდნის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მიმდინარე კვლევას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ღირებულება.

აღნიშნული სადოქტორო დისერტაციის **თეორიულ საფუძველს** სოციალური კონსტრუქტივიზმი წარმოადგენს, ვინაიდან, წერის ლექციებზე ურთიერთშეფასების მეთოდის ინტეგრირება ქმნის სწორედ ისეთ სოციალურ გარემოს, როგორშიც

შემსწავლელები თანამშრომლობენ, განიხილავენ და აფასებენ ერთმანეთის წერით დავალებებს, უწერენ ქულებს და აძლევენ უკუკავშირს. ის ასევე ეფუძნება სწავლისა და სწავლების სოციოკულტურულ მიდგომებს (Lave & Wenger, 1991) და სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის, ინტერაქციის, დაკვირვებისა და თანამშრომლობის პრინციპებს (Rogoff, 1990; Rogoff, 1991). ამ გზით შემსწავლელები თავიანთ შესაძლებლობებს ინტერაქციისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის მეშვეობით ანვითარებენ (Amineh & Davatagari, 2015; Batista, 2015; Olusegun, 2015; Lin & Mathews, 2005; Niykos & Hashimoto, 1997; Ultanir, 2012).

აღნიშნული დისერტაციის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს წერის ფსიქოლოგიური და ლინგვისტური ასპექტების ანალიზიც, ასევე, წერის მიღმა არსებული მეტაკოგნიტური და მენტალური პროცესები, რაც მიმდინარეობს შემსწავლელთა გონებაში წერის დროს (Flower & Hayes, 1981; Flower & Hayes, 1980; Repovs & Baddaley, 2006; Galbraith, 2009). დისერტაცია განიხილავს ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე ურთიერთშეფასების პრაქტიკის დანერგვას (Siow, 2015; Bound & Falchikov, 1989; Kilic, 2016; Luc De Grez, 2012; White, 2009; Praver, Rouault, & Eidswick, 2011). ის ზემოთხსენებული საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ანალიზს აკეთებს (Afrasiabi & Khojasteh, 2015; Hattie & Timplelrley, 2007; Ferris, 1997; Clark, 2003; Rollinson, 2005; Huang, 2016; Lin & Yang, 2011; Nunan, 1999; Topping, 2009; Cheng & Warren, 2005; Ayachi, 2017).

მიმდინარე კვლევა ასევე, განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა Web 22.0 (ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები), კერძოდ, Google Docs-ის დანეგვა სწავლა-სწავლების პროცესში და აღნიშნული საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას მიმოიხილავს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის სწავლებასთან მიმართებაში (Peterson-Karlan, 2011; Board, 2003; Warschauer, 2010; Sharp, 2008; Suwantarathip & Wichadee, 2004).

მიმდინარე სადოქტორო დისერტაციის **პრაქტიკულ ღირებულებას** წარმოადგენს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების დანერგვის პრაქტიკული სტრატეგიები და მოდელი Google Docs-ის გამოყენებით. მოდელი და სტრატეგიები მკვლევარმა შეიშუშავა და ეს წარმოადგენს სწორედ აღნიშნული დისერტაციის პრაქტიკულ ღირებულებას, ვინაიდან, მიმდინარე დისერტაციის დანართში წარმოდგენილი აქტივობები და რუბრიკები მკითხველთათვის, განსაკუთრებით კი, ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექტორებისთვის განსაკუთრებულ პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენენ. ზემოთაღნიშნული მასალები ხელს შეუწყობენ მათი ცნობიერების ამაღლებას ურთიერთშეფასების, ტექნოლოგიების, სასწავლო მეთოდებისა და პრაქტიკული სტრატეგიების შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, დაეხმარება მათ განაახლონ და გააუმჯობესონ წერის ლექციები და სტუდენტებს წერის მოტივაცია აუმაღლონ. კვლევის შედეგები წაახალისებს ლექტორებს დანერგონ ურთიერთშეფასება Google Docs-ის მეშვეობით წერის ლექციაზე. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მკითხველი აიმაღლებს არა მხოლოდ თეორიულ ცნობიერებას, არამედ შეიძენს პრაქტიკულ ცოდნას, თუ როგორაა შესაძლებელი მოხდეს Google Docs-ისა და ურთიერთშეფასების ორი ფორმის (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურიერთშეფასება ქულების გამოყენებით) კომბინირებული ინტეგრირება ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე სტუდენტების წერითი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

საკვლევი კითხვები

აღნიშნული კვლევა უპასუხებს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- ახდენს თუ არა გავლენას ურთიერთშეფასება უნივერსიტეტის სტუდენტების წერის სიზუსტისა და გაბმულობის განვითარებაზე ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე?

- რამდენად ეფექტურია ურთიერთშეფასება ინგლისურის როგორც უცხოური ენის უნივერსიტეტის სტუდენტების წერის სიზუსტისთვის?
- რამდენად ეფექტურია სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე უნივერსიტეტის სტუდენტების წერის გაბმულობისა და სიზუსტის განვითარებისთვის ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე?
- რამდენად ეფექტურია სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით უნივერსიტეტის სტუდენტების წერის გაბმულობისა და სიზუსტის განვითარებისთვის ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე?
- ახდენს თუ არა ურთიერთშეფასებაზე გავლენას თანატოლთა კლასისა და საზოგადოების (თემის) კულტურა ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე?
- წარმოიქმნება, თუ არა რაიმე სახის მიკერძოებულობის საფრთხე ურთიერთშეფასების დანერგვისას ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე?

კვლევის ჰიპოთეზა

მიმდინარე კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით წერის ლექციაზე წვლილს შეიტანს სტუდენტთა წერის უნარ-ჩვევების განვითარებაში.
- სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე უფრო ეფექტურია შემსწავლელთა წერის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, ვიდრე სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით

კვლევის მეთოდები

კვლევის ჰიპოთეზის გასაზომად აღნიშნულ კვლევაში შერეული მეთოდი იყო გამოყენებული. მათ შორის, რაოდენობრივი მეთოდები (კითხვარებისა და მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების გამოყენებით) და თვისებრივი მეთოდები (ინტერვიუებისა და მკვლევარის ინტროსპექციის გამოყენებით). კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენდა:

- აღნიშნული საკვლევი თემის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა/ანალიზი;
- წინასაექსპერიმენტო და ექსპერიმენტის შემდგომი კითხვარები ლექტორებთან და სტუდენტებთან;
- ექსპერიმენტი;
- ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუები კვლევის მონაწილე სტუდენტებთან;
- მკვლევარის (ლექტორის) ინტროსპექცია;
- კვლევაში მონაწილე სტუდენტების წერითი კომპეტენციის შეფასება პრე-ტესტში, პირველ და მეორე შუასაექსპერიმენტო ტესტსა და ექსპერიმეტის შემდგომ ტესტში;
- მოპოვებულ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი SPSS 22.0-ის გამოყენებით.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება სამი თავისგან. პირველი თავი წარმოადგენს წერის სწავლებისა და შესწავლის შესახებ არსებული ლიტერატურის ანალიზს, აღნიშნული საკვლევი თემის თეორიულ საფუძველს - კონსტრუქტივისმის განხილვას, წერის შესწავლისა და სწავლების მნიშვნელობას, წერის ფსიქოლოგიური და ლინგვისტური ასპექტების განხილვას და წერის მეთოდებსა და წერის სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ სირთულეებს და წერის შეფასების მეთოდებს მიმოიხილავს. მეორე თავი ურთიერთშეფასების გარშემო არსებულ ლიტერატურას მიმოიხილავს და აქცენტს

აკეთებს წერაში ურთიერთშეფასების დანერგვაზე. მეორე თავი ურთიერთშეფასების პრაქტიკის დანერგვისთვის საჭირო პრაქტიკულ სტრატეგიებსაც მიმოიხილავს, მათ შორის ამისათვის საჭირო ციფრულ ტექნოლოგიებს, კერძოდ კი, Google Docs მიმოიხილავს. ის მკითხველს სთავაზობს პრაქტიკულ სტრატეგიებს და მკვლევარის მიერ შემუშავებულ მოდელს. მესამე თავი წარმოადგენს კვლევის დიზაინს, შედეგებს, მათ ანალიზს და კვლევის შეზღუდვებს. დისერტაცია სრულდება შემაჯამებელი დასკვნითი დებულებებით, რეკომენდაციებით, გამოყენებული წყაროებითა და დანართით. დისერტაცია მოიცავს 31 ცხრილს, 10 ფიგურას და 21 დანართს.

პირველი თავი. წერის სწავლებისა და სწავლების თეორიული საფუძველი

წერა მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ კოგნიტურ აქტივობად ოთხივე ენობრივ კომპეტენციას შორის (კითხვა, მოსმენა, მეტყველება, წერა). შესაბამისად, საკუთარი სათქმელის წარუმატებლად გამოხატვა და იმედაცრუება შემსწავლელების მოტივაციისა და ენთუზიაზმის ნაკლებობას განაპირობებს და ასეთ დროს სტუდენტები ნაკლებ შემოქმედებითობას ავლენენ.

წერის კომპლექსურობა განპირობებულია სხვადასხვა ლინგვისტური და ფსიქოლოგიური ასპექტით, ვინაიდან, ის წარმოადგენს შინაგანი რეპრეზენტაციის აგებას და შეიცავს უამრავ ქვე-პროცესს, როგორიცაა იდეების გენერირება გრძელვადიანი მეხსიერებიდან და მათი დაჯგუფება; ახალი კონცეპტების ფორმულირება; სხვადასხვა კატეგორიების იდენტიფიცირება და პროცედურული და სუბსტანციური მიზნების დასახვა. გარდა ამისა, წერის სირთულის გამომწვევ ფაქტორებს ასევე წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლექტორები არ იცნობენ სხვადასხვა გზებსა და ხერხებს, თუ როგორ ასწავლონ წერა უფრო ეფექტურად. მათ ასევე, აკლიათ გამოცდილება და შესაბამისი მომზადება კონკრეტულად წერის სწავლებაში. ლექტორთა რწმენები და შეხედულებებიც ახდენს გავლენას წერის სწავლებაზე. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, მიიჩნევა, რომ შემსწავლელებისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს მათი აზრების მშობლიური ენიდან უცხოურ ენაზე

გადათარგმნა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მშობლიური ენის სისტემა რადიკალურად განსხვავდება უცხო ენის სისტემისგან. ეფექტურად წერის ხელისშემშლელ ფაქტორს ასევე, წარმოადგენს შემსწავლელთა დაბალი ლინგვისტური კომპეტენცია, ან ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა თვითშეფასება და შფოთვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად წერის კომპლექსურობისა, ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფორმაა სათქმელის გამოხატვისა და იდეების დემონსტრირებისთვის. ის ასევე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი უნარია შრომით ბაზარზე.

იმისთვის, რომ ლექტორებმა მეგზურობა გაუწიონ წერის შემსწავლელებს ამ რთულ გზაზე, ეს უკანასკნელნი უნდა იცნობდნენ მათთვის მისაღებ და იმ დროისთვის წერის სწავლებისთვის ყველაზე რელევანტურ და ეფექტურ მეთოდებს. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ლექტორებს წერითი აქტივობები მოარგონ 21-ე საუკუნის შემსწავლელთა საჭიროებებს. ამრიგად, იმისთვის, რომ სტუდენტები აღიჭურვონ მნიშვნელოვანი კომუნიკაციური უნარებით და აიმაღლონ წერითი კომპეტენცია, სწავლების მოქნილი სტილი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რაც გულისხმობს სწავლების მეთოდების შერჩევას სწავლების კონკრეტული მიზნების მიხედვით. გარდა იმისა, რომ ლექტორმა საჭირო დროს საჭირო სწავლების მეთოდი და სტრატეგია უნდა აირჩიოს, ამ უკანასკნელმა წერის ფორმებიც სასწავლო მიზნების მიხედვით უნდა შეარჩიოს.

მეორე თავი. ეფექტური ურთიერთშეფასების დანერგვა წერის სწავლა-სწავლების პროცესში

წლებია უამრავი კვლევა ტარდება წერის სწავლა-სწავლებისთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიებისა და მეთოდების მოსაძებნად. გამომდინარე იქიდან, რომ უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია წაახალისოს და პროპაგანდა გაუწიოს უწყვეტ და დამოუკიდებელ სწავლას, ურთიერთშეფასება მიიჩნევა შეფასების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად, რომელიც ხელს უწყობს

ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევას. გარდა ამისა, ურთიერთშეფასების თეორიულ საფუძველს კონსტრუქტივიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიები წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას. ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების ფარგლებშიც შემსწავლელები თანამშრომლობის გზით ერთმანეთის წერით დავალებებს ამოწმებენ და განიხილავენ, ერთმანეთს უკუკავშირს აძლევენ, ქულებს უწერენ რისი მეშვეობითაც იღრმავებენ ცოდნას საკუთარი შესაძლებლობების შესახებ და ამ გზით მეტაკოგნიტურ უნარებსაც ავითარებენ,

ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების გამოყენება სტუდენტებს ეხმარება კრიტიკული აზროვნების განვითარებაში და საკუთარი სწავლის პროცესში აქტიურად ჩართვაში. ურთიერთშეფასების დანერგვა სხვადასხვა გზებითაა შესაძლებელი, როგორიცაა სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით. ურთიერთშეფასების ორივე ფორმას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც. სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე შეგვიძლია მივიჩნიოთ კომენტარების ნებისმიერ ფორმად, როგორიცაა რჩევის მიცემა და შექება. ის წარმოადგენს ვერბალურ ინფორმაციას თანატოლის მიერ მიზნის მიღწევის მცდელობის შესახებ. სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასების (უკუკავშირის) ერთ-ერთი სარგებელი არის ის, რომ სტუდენტებს საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ. მიიჩნევენ, რომ სტუდენტების ნაწერების უკუკავშირი ხელს უწყობს შემსწავლელებში წერის მოტივაციის ზრდას, ვინაიდან, მათ იციან, რომ მათ დაწერილს ავთენტური მკითხველი ეყოლება. ასევე, მიჩნეულია, რომ სტუდენტების ნაწერების უკუკავშირი შემსწავლელებში ავითარებს უწყვეტი განათლებისთვის საჭირო ყველა უნარს, ხელს უწყობს მათში კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარის განვითარებას. თუმცა, მის ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ზოგჯერ ის ბევრ დროს მოითხოვს და გარდა ამისა,

მასზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს შემსწავლელთა კულტურული ფონი და წარმომავლობა. სტუდენტების ნაწერების უკუკავშირის სირთულეს შემსწავლელთა გამოუცდელობაც განაპირობებს, რის გამოც ამ უკანასკნელთ შეიძლება გამორჩეთ თანატოლთა მიერ წერაში დაშვებული შეცდომები.

განიხილავენ ასევე სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასებას ქულების გამოყენებით, მის დადებით მხარეებსა და სირთულეებს. ერთ-ერთი დადებითი მხარე, რაც თან სდევს სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასებას ქულების გამოყენებით არის ის ფაქტი, რომ ის სტუდენტების დამოუკიდებლობას განაპირობებს. ის ასევე ხელს უწყობს შემსწავლელზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ზრდის რა მათ ცნობიერებას არა მხოლოდ საკუთარი, არამედ თანატოლის წერის უნარის შესახებ. თვალსაჩინოა, რომ ურთიერთშეფასების ორივე ფორმას თითქმის მსგავსი სარგებელი აქვს, თუმცა, სტუდენტების ნაწერის უკუკავშირის მსგავსად, ქულების გამოყენებით ურთიერთშეფასებასაც აქვს გარკვეული სირთულეები. განსხვავებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ქულების მიმართ სტუდენტებს გაცილებით უფრო უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე უკუკავშირის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთშეფასების ორივე ფორმას მნიშვნელოვანი სარგებელი აქვს ინგლისურის როოგრც უცხო ენის წერის შემსწავლელთათვის, ლექტორები, ისევე როგორც უცხო ენის წერის სტუდენტები, სხვადასხვა წინაღობებსაც აწყდებიან ურთიერთშეფასების დანერგვისას. არსებობს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ურთიერთშეფასების ვალიდურობასა და სანდოობაზე. ასეთ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ სტუდენტების გამოუცდელობა და წერის დაბალი კომპეტენცია. ასევე, ცნობილია, რომ შემსწავლელებს მიდრეკილება აქვთ დაიყონ მცირე ჯგუფებად და იყვნენ მიკერძოებულები ქულების დაწერისას. ასეთი მიკერძოება შეიძლება გამოწვეული იყოს მეგობრობისა და კლუტურის გავლენით. კულტურას საკმაოდ დიდი გავლენა

აქვს ენის შესწავლისას, ვინაიდან მიიჩნევა, რომ ადამიანები გარესამყაროს ხედავენ და აღიქვამენ სწორედ კულტურის წიაღში. შესაბამისად, ენის შესწავლა დაკავშირებულია პრინციპებთან, რწმენებთან და ღირებულებებთან, რომლის მატარებლებიც არიან სტუდენტები. კულტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანთა ცნობიერების ფორმულირებაში, მათი აზროვნებისა და ცხოვრების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, შემეცნებასა და ენის ათვისებაში. თანამედროვე კულტურათაშორის ფსიქოლოგიაში გამოყოფენ ორ ძირითად კულტურულ მახასიათებელს - ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს. აღნიშნულ დისერტაციაში განხილული ლიტერატურის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული კულტურა დაკავშირებულა მცირე სოციალურ ჯგუფებად, როგორიცაა ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და ატარებს უფრო მეტად კოლექტივისტური კულტურის ნიშნებს. შესაბამისად, შეიძლება აღინიშნოს, რომ კოლექტივისტური აზროვნება და მჭიდრო კავშირები ოჯახთან და მეგობრებთან შესაძლოა განაპირობებდეს მათ მიკერძოებულობას. შესაძლოა, შემსწავლელებმა თავი აარიდონ მეგობრებისთვის უარყოფითი უკუკავშირის, ან დაბალი ქულის დაწერას იმის შიშით, რომ შესაძლოა, ამის გამო მათ მეგობრობას შეექმნას საფრთხე. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ კულტურასთან დაკავშირებული ფაქტორები სიღრმისეულადაა შესასწავლი და საჭიროა კვლევების ჩატარება იმისათვის, რომ დადგინდეს კულტურის რეალური გავლენა ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების დანერგვაზე.

ურთიერთშეფასების დანერგვა ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე ლექტორისგან ძალიან დეტალურ და ზედმიწევნით დაგეგმვას საჭიროებს, ვინაიდან, ის საკმაოდ რთული და შრომატევადია. ლექტორმა უნდა იპოვოს ეფექტური სტრატეგიები იმისთვის, რომ წარმატებით დანერგოს ურთიერთშეფასება წერის სწავლა-სწავლების პროცესში. პირველი ეტაპი ამისათვის არის წერის ფორმებისა და აქტივობების ზედმიწევნით არჩევა, რათა ისინი შესაბამისობაში იყვნენ კურიკულუმთან, სილაბუსთან, სასწავლო მიზნებთან და ამავდროულად,

პრაქტიკული ღირებულებაც ჰქონდეთ. ამის შემდეგ ლექტორმა უნდა მოამზადოს და შექმნას უკუკავშირისა და შეფასების რუბრიკები.

ცხრილი 1. წერითი დავალების ფორმისა და აქტივობების შერჩევის კრიტერიუმები

კრიტერიუმები	**ინდიკატორები**
შესაბამისობა	წერითი დავალების შინაარსი და ფორმა შესაბამისობაშია სასწავლო პროგრამასთან, მიზნებთან და კურიკულუმთან. ის ასევე შეეფერება შემსწავლელთა ასაკსა და განვითარებას.
პრაქტიკული ღირებულება	წერითი დავალების შინაარსი და ფორმა ავთენტურია. შემსწავლელებს შეუძლიათ მათი რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.
სასწავლო მიზნები	წერითი დავალების შინაარსი და ფორმა სასწავლო მიზნებთანაა შესაბამისობაში. შეფასების კრიტერიუმები ვალიდური და სანდოა.

წერითი აქტივობების კონტექსტი შესაბამისობაში უნდა იყოს სასწავლო პროგრამის მიზნებთან და ამავდროულად, ვალიდური და სანდო უნდა იყოს. უკუკავშირისა და შეფასების რუბრიკები უნდა აფასებდეს სწორედ იმას, რისი შეფასებაც აქვს გამიზნული.

ვინაიდან, 21-ე საუკუნის შემსწავლელები ციფრულ თაობადაც მოიხსენიებიან, ისინი ყოველდღიურად ეცნობიან და ითვისებენ ახალ ტექნოლოგიურ სიახლეებს, რაც ლექტორებს მოვალეობას აკისრებს, რომ იყვნენ ასევე გათვითცნობიერებულები თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებში და გამოიყენონ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნულ კვლევაში ურთიერთშეფასების ეფექტურად დანერგვისთვის Google Docs იყო გამოყენებული რიგი მიზეზების გამო. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ Google Docs არის საკმაოდ მოქნილი და მომხმარებელთათვის ძალიან კომფორტული. მისი გამოყენება სრულიად უფასოდაა შესაძლებელი. მეორეს მხრივ, კვლევის მონაწილეებს უკვე ჰქონდათ Google Docs ანგარიში, რომელიც მათ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეუქმნა, რამაც უფრო გაამარტივა ციფრული აპლიკაციის გამოყენება. გარდა ამისა, Google Docs მომხმარებლებს შესაძლებლობების

ფართო სპექტრს სთავაზობს. სტუდენტებს შეუძლიათ გააზიარონ, შეცვალონ, რედაქტირება გაუკეთონ, თავიდან შევიდნენ ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილიდან, სადაც ინტერნეტთან წვდომაა. სურათი 1 წარმოადგენს ურთიერთშეფასების დანერგვის პრაქტიკულ სტრატეგიებს.

სურათი 1 ექსპერიმენტული კვლევის დიზაინი



მესამე თავი. მეთოდოლოგია და პროცედურები

აღნიშნული სადოქტორო დისერტაცია შეიცავს ხუთ ძირითად კვლევას, მათ ძირითად მიზნებსა და თითოეული კვლევის მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებს.

ცხრილი 2. კვლევის დიზაინი

კვლევა	**მიზნები**	**მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტები**
კვლევა 1: წერისა და ურთიერთშეფასების მიმართ დამოკიდებულება	განისაზღვროს სტუდენტების შეხედულებები წერასთან და ურთიერთშეფასებასთან დაკავშირებით; განისაზღვროს ლექტორებისა და სტუდენტების	კითხვარი Google Forms-ში.

	მზაობა ექსპერიმენტისათვის	
კვლევა 2: ექსპერიმენტული კვლევა	დადგინდეს ურთიერთშეფასების ეფექტურობა სტუდენტთა წერითი უნარ-ჩვევის განვითარებაში; განისაზღვროს ურთიერთშეფასების რომელი მეთოდია უფრო ეფექტური.	სტუდენტების შედეგები წინა-საექსპერიმენტო, პირველ და მეორე შუა-საექსპერიმენტო და ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში.
კვლევა 3: შემსწავლელების ექსპერიმენტის შემდგომი კითხვარი	განისაზღვროს კვლევაში მონაწილე სტუდენტების შთაბეჭდილებები უკუკავშირის და ურთიერთშეფასების შესახებ; ურთიერთშეფასების ორი მეთოდის შედარება სტუდენტთა დამოკიდებულების მხრივ	კითხვარი Google Forms-ში.
კვლევა 4: ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუ სტუდენტებთან.	განისაზღვროს სტუდენტთა შთაბეჭდილებები წერის, ურთიერთშეფასების და Google Docs-ის შესახებ.	ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს შეკითხვეში
კვლევა 5: მკვლევარის (ლექტორის) ექსპერიმენტის შემდგომი ინტროსპექცია.	განისაზღვროს მკვლევარის შთაბეჭდილებები ექსპერიმენტისა და სამომავლო გეგმებისა და კვლევის შედეგების გამოყენების შესახებ.	მკვლევარის ინტროსპექცია.

კვლევის ჩატარებამდე გამოიკითხა ინგლისურის როგორც უცხოური ენის 66 ლექტორი 13 კერძო და საჯარო უმაღლესი სასწავლებლიდან როგორც თბილისში, ასევე რეგიონში. წინასაექსპერიმენტო გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა კი იყო 84. კითხვარის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოაშკარავდა, რომ ლექტორებს საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ ურთიერთშეფასების შესახებ. თუმცა, მათ აწუხებდათ შესაძლო მიკერძოება მეგობრებს შორის ისევე როგორც სტუდენტთა დამოუკიდებლობა. ლექტორებს გამოკითხვის შედეგების მსგავსად, სტუდენტებმაც გამოთქვეს წუხილი და უარყოფითი დამოკიდებულება ნეგატიური შეფასების ან უკუკავშირის შესახებ. საბოლოო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტებს ჰქონდათ მზაობა მონაწილეობა მიეღოთ ურთიერთშეფასების აქტივობებში.

აღნიშნული კვლევის მონაწილე იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 79 სტუდენტი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის მონაწილეთა არჩევა რენდომიზაციის გზით მოხდა და ისინი დაკომპლექტდნენ ერთ საკონტროლო და ორ ექსპერიმენტულ ჯგუფებად (პირველი ექსპერიმენტული ჯგუფი: სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე; მეორე ექსპერიმენტული ჯგუფი: სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით). კვლევის მონაწილეთა ინგლისური ენის ცოდნის დონე იყო A1 (Elementary), რომელიც განისაზღვრა მათი ენობრივი დონის განმსაზღვრელი ტესტის მიხედვით, რომელსაც ორგანიზება გაუწია შ.პ.ს. ინგლისური წიგნი საქართველოში - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ. სტუდენტების რაოდენობა საკონტროლო ჯგუფში იყო 26 (15-გოგონა, 11-ბიჭი; 3-აზერბაიჯანელი და 1 თურქი). პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა იყო 27 (16-გოგონა, 11-ბიჭი, 24-ქართველი, 2-აზერბაიჯანელი და 1 სომეხი), ხოლო მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა იყო 26 (10-გოგონა, 16-ბიჭი, 25-ქართველი, 1-აზერბაიჯანელი).

კვლევის ხანგრძლივობა იყო 2017-2018 წლის შემოდგომის სემესტრი. კვლევის ფარგლებში ურთიერთშეფასების წერითი დავალბების რაოდენობა იყო 17 (წერის ლექცია კვირაში ერთხელ ტარდებოდა). კვლევის მონაწილე სტუდენტებმა მიიღეს 39-საათიანი წერის პრაქტიკა ორივე ექსპერიმენტულ ჯგუფში, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მონაწილეებმა ინტენსიური პრაქტიკა მიიღეს, რაც ზრდის კვლევის შედეგების სანდოობას. საკონტროლო ჯგუფში სტუდენტები წერას ტრადიციული მეთოდებით სწავლობდნენ. მხოლოდ ლექტორი ირჩევდა წერის ფორმებს და ადგენდა შეფასების რუბრიკებს. საკონტროლო ჯგუფისგან განსხვავებით, პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში სტუდენტები ერთმანეთს წერით დავალებებს უმოწმებდნენ და ერთმანეთს უკუკავშირს უწერდნენ. ხოლო მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები ერთმანეთს ქულებს უწერდნენ. ქვემოთ წარმოდგენილი

სურათი წარმოადგენს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების დანერგვის მოდელს.

სურათი 2. ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების დანერგვის მოდელი (შექმნილია მკვლევარის მიერ)



აღნიშნული დისერტაციის მთავარი მიზანი იყო დაედგინა ურთიერთშეფასების რომელი მეთოდია უფრო ეფექტური ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის განვითარებისთვის (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით). შედეგების შესაფასებლად და გასაზომად წინასაექსპერიმენტო, პირველი და მეორე შუასაექსპერიმენტო და ექსპერიმენტის შემდგომი ტესტების შედეგები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS 22.0.

ცხრილ 3-ში წარმოდგენილია კვლევის ყველა მონაწილის (საკონტროლო და ორივე ექსპერიმენტული) ჯგუფის სტუდენტების შედეგები ოთხივე ტესტში. ცხილ 3-ში

ჩანს, რომ წინასაექსპერიმენტო ტესტების შედეგები ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში გაიზარდა, ვინაიდან წინასაექსპერიმენტო ტესტების შედეგების საშუალო არითმეტიკული იყო .36731 და ის ასევე გაიზარდა პირველ მიმდინარე ტესტში და შეადგინა 3.45768. ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ სტანდარტული გადახრა უფრო ჰომოგენური ხდება. საკონტროლო ჯგუფის ექსპერიმენტის შემდგომი ტესტის სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი კი ყველაზე მცირეა ყველა ოთხ ტესტს შორის (.49653) რაც მიანიშნებს რა იმაზე, რომ ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში სტუდენტთა შედეგები ჰომოგენურია. შეიძლება დავასკვნათ, რომ ვინაიდან საშუალო არითმეტიკული თანდათან გაიზარდა, ხოლო სტანდარტულმა გადახრამ იკლო, კვლევის მონაწილე სტუდენტებმა საკონტროლო ჯგუფში განავითარეს წერის უნარი და გაუმჯობესეს შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ტრადიციული სწავლების მეთოდებით უტარდებოდათ წერის ლექციები.

როგორც ცხრილი 3 გვიჩვენებს, პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე), სტუდენტების შედეგების სტანდარტულმა გადახრამ წინასაექსპერიმენტო ტესტიდან ექსპერიმენტის შემდგომ ტესტამდე თანდათან საგრძნობლად დაიკლო და ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში ყველაზე დაბალ ნიშულს -.09623-ს მიაღწია, რაც ქულათა ჰომოგენურობაზე მიგვანიშნებს. უფრო მეტიც, ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ კვლევის მონაწილე სტუდენტების შედეგების საშუალო არითმეტიკული თანდათან იზრდება და ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში 4.9815 ხდება. ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ სტუდენტების წერის შედეგები საგრძნობლად გაიზარდა და კვლევის მონაწილეებმა შემოდგომის სემესტრის განმავლობაში განავითარეს წერის უნარ-ჩვევა. ცხრილი 3-დან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევის იმ მონაწილეებმა, რომლებიც პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში იყვნენ და მონაწილეობდნენ ერთმანეთის ნაწერების შეფასებაში უკუკავშირის გამოყენებით გაუმჯობესეს წერის კომპეტენცია ექსპერიმენტის პერიოდში.

ცხრილი 3 წარმოადგენს ოთხი ტესტის სტატისტიკურ ინფორმაციას მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით). ცხრილიდან ჩანს, რომ წინასაექსპერიმენტო ტესტში მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული (3.6154) 0.6154-ით გაიზარდა დ პირველ შუასაექსპერიმენტო ტესტში შეადგინა 4.2308. ცხრილი 3 ასევე გვიჩვენებს, რომ ქულათა საშუალო არითმეტიკული მეორე შუასაექსპერიმენტო ტესტშიც გაიზარდა და შეადგინა 4.5192. ხოლო ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში ყველა ოთხ ტესტთან შედარებით ყველაზე მაღალ ნიშნულს - 4.8654-ს მიაღწია, რაც აჩვენებს, რომ მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების ქულათა საშუალო არიმეტიკული გაიზარდა, ხოლო მათი ქულების სტანდარტულმა გადახრა ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში შეადგინა .09623, რაც მიანიშნებს სტუდენტთა შედეგების ჰომოგენურობაზე. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში გამოყენებულმა ურთიერთშეფასების ფორმამ, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ერთმანეთის ნაწერებს ქულების გამოყენებით ასწორებდნენ, დადებითი ეფექტი მოახდინა კვლევის მონაწილეთა წერითი კომპეტენციის ამაღლებაზე.

ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ ორივე ექსპერიმენტულ ჯგუფში კვლევის მონაწილეთა შედეგების საშუალო არითმეტიკული გაიზარდა, თუმცა პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში საშუალო არითმეტიკულის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო. როგორც ცხრილი 6 გვიჩვენებს, წინასაექსპერიმენტო ტესტში მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში (4.5185) მაღალია მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის საშუალო არითმეტიკულ ქულაზე (4.2308). ცხილში ჩანს, რომ ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში იზრდება, თუმცა პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში კვლავ მაღალია (4.9815) მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულზე (4.8654). ზემოთაღნიშნული მონაცემები მოწმობს, რომ სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე უფრო ეფექტურია და უფრო მეტად უწყობს ხელს ინგლისურის

როგორც უცხო ენის სტუდენტების წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას და ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში.

ცხრილი 3. საკონტროლო და ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები ოთხივე ტესტში

სტუდენტები		წინასაექსპერიმენტო ტესტირების შედეგები	1 შუა საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები	2 შუა საექსპერიმენტო ტესტირების შედეგები	ექსპერიმენტის შემდგომი ტესტირების შედგები
საკონტროლო ჯგუფი	საშუალო ქულა	3.6731	4.1923	4.0769	4.5577
	სტანდარტული გადახრა	1.33373	.74936	1.11079	.49653
სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე	საშუალო ქულა	3.2963	4.5185	4.9259	4.9815
	სტანდარტული გადახრა	1.55204	.46989	.22802	.09623
სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით	საშუალო ქულა	3.6154	4.2308	4.5192	4.8654
	სტანდარტული გადახრა	.69725	.62017	.55643	.33340
ჯამი	საშუალო ქულა	3.5253	4.3165	4.5127	4.8038
	სტანდარტული გადახრა	1.24782	.63133	.79653	.38744

ორი სხვადასხვა ექსპერიმენტის შემდგომი კითხვარი შედგა ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებისთვის. ჯამში ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა 53-ს. ექსპერიმენტის შემდგომი კითხვარის მეშვეობით გამოაშკარავდა, რომ ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს ჰქონდათ პოზიტიური დამოკიდებულება ურთიერთშეფასებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ უკუკავშირი სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე, ისევე როგორც, სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით მათთვის ძალიან გამოსადეგი იყო, რადგან ორივე შემთხვევაში მათ აიმაღლეს საკუთარი შესაძლებლობების შესახებ ცნობიერება და გააუმჯობესეს წერის უნარ-ჩვევები, როგორც წერის გაბმულობა, ისევე წერის სიზუსტე.

კვლევის მონაწილეებთან ექსპერიმენტის შემდგომმა ინტერვიუმ გამოავლინა, რომ სტუდენტები დარწმუნებულები არიან, რომ ურთიერთშეფასების დანერგვამ წვლილი შეიტანა მონაწილეთა გრამატიკის, მექანიკის, სტრუქტურის და წერის ორგანიზებულობის განვითარებაში. თუმცა, ორივე ჯგუფთან ჩატარებულ გამოკითხვასა და ინტერვიუში პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის მონაწილეებმა უფრო დადებითი დამოკიდებულება გამოავლინეს უკუკავშირის მიმართ და აღნიშნავდნენ, რომ უფრო კომფორტულად გრძნობდნენ თავს უკუკავშირის მიცემის, თუ მიღებისას. მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ ერჩივნათ თავი აერიდებინათ ერთმანეთის ნაწერების ქულებით შემოწმებისგან და მხოლოდ უკუკავშირი მიეცათ წერილობითი კომენტარების მეშვეობით. მათ აღნიშნეს, რომ ქულების დაწერა მათთვის უფრო დიდი პასუხისმგებლობა იყო, რის გამოც ნაკლებად კომფორტულად გრძნობდნენ თავს. მკვლევარის (ლექტორის) მონიტორინგი ურთიერთშეფასების პროცესში სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. ეს უკანასკელი ეხმარებოდა სტუდენტებს და უზრუნველყოფდა ურთიერთშეფასების პროცესში თავიდან აერიდებინა სტუდენტებისთვის მიკერძოებულობა და სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორები. ინტერვიუებმაც და კითხვარებმაც

გამოავლინა, რომ Google Docs-ში მუშაობა სტუდენტებისთვის ძალიან პროდუქტიული და საინტერესო გამოცდილება იყო, ვინაიდან როგორც ინტერვიუებში აღნიშნეს, ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის წარმომადგენლებმა თავიანთი გამოცდილება Google Docs-ის შესახებ სხვებსაც გაუზიარეს და პროპაგანდა გაუწიეს მის გამოყენებას სხვადასხვა საგნებსა და აქტივობებში, როგორიცაა აკადემიური წერა, ჯგუფური პროექტები და პრეზენტაციები.

აღნიშნულ კვლევაში მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოყენებული იყო მკვლევარი (ლექტორის) ექსპერიმენტის შემდგომი ინტროსპექცია, რომელმაც გამოავლინა მისი გამოცდილება, აღწერა კვლევის შეზღუდვები, გამოწვევები და სარგებელი. ის ასევე სთავაზობს მკითხველს რეკომენდაციებს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების დანერგვისთვის. შესაბამისად, ის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს მკითხველისთვის.

დასკვნა და რეკომენდაციები

- აღნიშნულ დისერტაციაში მიმოხილული ლიტერატურა წარმოაჩენს წერის უნარ-ჩვევის მნიშვნელობას და ღირებულებას როგორც აკადემიურ სფეროში, ასევე, შრომით ბაზარზე. წერის კომპეტენცია მიიჩნევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარად, რომელსაც შეუძლია შემსწავლელს მოუტანოს აკადემიური წარმატება დღევანდელ სწრაფად განვითარებად სამყაროში. მიმოხილულ ლიტერატურაში ასევე აღნიშნული იყო, რომ წერა საკმაოდ კომპლექსური კოგნიტური უნარია, რომელიც უამრავ ფსიქოლოგიურ და ლინგვისტურ ფაქტორს მოიცავს, რაც უნდა გაითვალისწინონ ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექტორებმა.
- აღნიშნული სადოქტორო დისერტაცია წარმოადგენს ურთიერთშეფასების ფორმების საფუძვლად არსებულ თეორიებს, კერძოდ კი ვიგოცკის და დიუის ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ თეორიებს.
- საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურამ, რომელიც მიმოხილული იყო აღნიშნულ კვლევაში, გამოავლინა, რომ ინგლიუსრის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების დანერგვა ხელს უწყობს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომლის ფარგლებშიც შემსწავლელები ერთმანეთთან თანამშრომლობით ქმნიან ახალ ცოდნას და იძენენ სხვადასხვა უნარს. ლიტერატურის ზედმიწევნით დამუშავების შემდეგ შეიძლება აღინიშნოს, რომ სტუდეტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების უკუკავშირი ქულების გამოყენებით სტუდენტებში ზრდის მოტივაციას და ინგლისურის როგორც უცხო ენის წერის აქტივობებში ჩართულობას, რაც შედეგად, ხელს უწყობს მათი წერის უნარ-ჩვევისა და მეტაკოგნიტური აზროვნების განვითარებას.
- აღნიშნულ კვლევაში მიჩნეულია, რომ უმაღლესი განათლება ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტებს აიღონ საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობა და განავითარონ მეტაკოგნიტური უნარ-ჩვევები. დისერტაციაში განხილული

ლიტერატურა ცხადყოფს, რომ ურთიერთშეფასების დანერგვას უდიდესი წვლილი შეაქვს აღნიშნული მიზნების მიღწევაში. დისერტაციაში მიმოხილული ლიტერატურა ამტკიცებს, რომ სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით ავითარებს კრიტიკული კითხვისა და შეფასების უნარს. ურთიერთშეფასების ორივე ფორმა ხელს უწყობს შემსწავლელთა ცნობიერების ამაღლებას წერის სხვადასხვა ასპექტების მიმართ. ურთიერთშეფასება ზრდის სწავლის პოტენციალს და ზრდის ინდივიდის ცნობიერებას მისი საჭიროებების შესახებ.

- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომში ასევე, განხილულია შეზღუდვები და სირთულეები, რაც თან ახლავს სტუდენტების ურთიერთშეფასებას (უკუკავშირს) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასებას ქულების გამოყენებით. ერთ-ერთ ასეთ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტების უარყოფითი დამოკიდებულება ურთიერთშეფასების აქტივობებში მონაწილეობის მიმართ. გარდა ამისა, ურთიერთშეფასების დანერგვის სხვა შეზღუდვა შეიძლება იყოს შემსწავლელთა უნდობლობა ერთმანეთის კვალიფიკაციის მიმართ, რაც განაპირობებს იმას, რომ სტუდენტებმა შესაძლოა ამჯობინონ მხოლოდ ლექტორის უკუკავშირი და ქულები. სხვადასხვა კვლევები განიხილავენ ისეთ სირთულეებსაც, როგორიცაა სტუდენტთა ობიექტურობა ერთმანეთისთვის ქულების მინიჭების დროს (Ozogul & Sallivan, 2005). ზოგი კვლევის მიხედვით, სტუდენტები ამჯობინებენ ერთმანეთისთვის მხოლოდ უკუკავშირის მიცემას და ქულების მინიჭებისგან თავის არიდებას (Medocca & Johnson, 1994; Cheng & Warren, 2005; Brammer & Rees, 2010). აღნიშნული კვლევის მონაცემების მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სტუდენტები ამჯობინებენ მხოლოდ უკუკავშირის მიცემას ერთმანეთის ნაწერების შემოწმებისას. რიგმა კვლევებმა ურთიერთშეფასების ერთ-ერთ ყველაზე დიდ შეზღუდვად ვალიდურობა და სანდოობაც

დაასახელეს, აღნიშნეს რა, რომ სტუდენტები მიდრეკილები არიან მიკერძოებისკენ (Fletcher &Batley, 1999; Gielen, Peters, Dochy, Onghena & Stryven, 2010; Cho, Schunn & Wilson, 2006; Heywood, 2000; Dancer & Dancer, 1996; Mathews, 1994).

- მიმდინარე სადოქტორო დისერტაციაში მიმოხილული ლიტერატურა განიხილავს კლასისა და საზოგადოების (თემის) კულტურის გავლენას ურთიერთშეფასებაში შემსწავლელთა ჩართულობაზე. ის ასევე, ნათელს ფენს ქართველთა კულტურის ზოგიერთ მახასიათებელს, ავლენს რა სტუდენტების მჭიდრო კავშირს ოჯახთან და მეგობრებთან, რაც უფრო მეტად კოლექტივისტურ ქვეყნებს ახასიათებთ. მიმოხილული ლიტერატურის მიხედვით, აღნიშნულ კვლევაში წარმოდგენილი მახასიათებლები შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი იყოს, თუ რატომ შეიძლება გრძნობდნენ სტუდენტები თავს არაკომფორტულად, როდესაც ერთმანეთს ქულას უწერენ და უკუკავშირს აძლევენ იმის შიშით, რომ არ გააფუჭონ მეგობრული ურთიერთობა. მეგობრების მიმართ მიკერძოებულობის მაგალითები გამოავლინა აღნიშნული კვლევის პოსტ-ექსპერიმენტულმა ინტერვიუმ მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით). ინტერვიუში ზემოთხსენებული ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტმა აღიარა, რომ იმ ჯგუფელის ნაწერს უფრო ყურადღებით ამოწმებდა, ვიდრე იმ ჯგუფელისას, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მეორე სტუდენტმა კი ამავე ჯგუფიდან საპირისპირო რამ აღნიშნა და ინტერვიუში თქვა, რომ მეგობრის ნაწერს უფრო ყურადღებით ამოწმებდა და ცდილობდა სამართლიანი ყოფილიყო, ვიდრე უბრალოდ ჯგუფელის ნაწერს. მათ, ასევე, აღნიშნეს, რომ ძირითადად მაშინ ცდილობდნენ ობიექტურობის დაცვას, როცა იცოდნენ, რომ ლექტორი მონიტორინგს აწარმოებდა და აქტიურად იყო ჩართული სტუდენტების ურთიერთშეფასების პროცესში. აღნიშნული დისერტაციის ერთ-ერთი კვლევის შეკითხვა იყო ახდენდა თუ არა გავლენას

კლასისა და საზოგადოების (თემის) კულტურა გავლენას ურთიერთშეფასებაზე ინგლისურის როგორც უცხოური ენის ლექციაზე. კვლევის მეორე შეკითხვა ეხებოდა მიკერძოებულობას და სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს. ლიტერატურის საფუძვლიანი მიმოხილვისა და მიმდინარე კვლევის მონაცემების დამუშავების შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კვლევის ორივე შეკითხვას გაეცა პასუხი. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლასისა და საზოგადოების (თემის) კულტურა გავლენას ახდენს ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების დანერგვაზე, რის შედეგადაც ამ პროცესის ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა იყოს მეგობრების ერთმანეთთან მიკერძოებულობა, რაც გარდა სხვა ფაქტორებისა, გამოწვეულია შემფასებლის კულტურული მახასიათებლებითაც.

- სტუდენტებმა პირველ ექსპერიმენტული ჯგუფიდან (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე) აღნიშნეს, რომ მათ გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი უკუკავშირის რუბრიკებისა და კომენტარების მეშვეობით, ვინაიდან, ზოგჯერ მათ უწევდათ კომენტარებში არსებული მათთვის უცხო სიტყვების მნიშვნელობის ლექსიკონში ძიება. მათ ექსპერიმენტის შემდგომ ინტერვიუში აღნიშნეს, რომ განავითარეს არა მხოლოდ ლექსიკა, არამედ მართლწერა, გრამატიკა და სხვადასხვა ფორმის წერითი დავალების სტრუქტურა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე უდიდეს როლს ასრულებს კვლევის მონაწილეთა წერის გაბმულობისა და სიზუსტის განვითარებაში. ამ გზით კვლევის მესამე კითხვასაც გაეცა პასუხი, რომელიც იკვლევდა, თუ ურთიერთშეფასების რომელი მეთოდი იყო უფრო ეფექტური ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის განვითარებისთვის.
- მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა, რომლებიც ერთმანეთის ნაწერების შემოწმებისას ქულებს იყენებდნენ, აღნიშნეს, რომ ურთიერთშეფასების ამ მეთოდით მათ აიმაღლეს ცნობიერება როგორც

საკუთარი წერის უნარ-ჩვევს, ისე ზოგადად, წერის მიმართ. მათ ასევე განავითარეს წერის სიზუსტე გრამატიკისა და მექანიკის კუთხით. ამრიგად, კვლევის მეოთხე კითხვასაც გაეცა პასუხი და აღინიშნა, რომ სტუდენტების ნაწერის ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების წერის სიზუსტისა და გაბმულობის განვითარებას.

- ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევის მონაცემების, ექსპერიმენტის შემდგომი კითხვარების, ექსპერიმენტის შემდგომი ინტერვიუების და მკვლევარის (ლექტორის) ინტროსპექციის ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ Google Docs არის ის პლატფორმა და ინსტრუმენტი, რომელიც არა მხოლოდ სასურველი იყო კვლევის მონაწილეებისთვის, არამედ საკმაოდ ეფექტურიც და დროის დამზოგველიც. უფრო მეტიც, კვლევის მონაწილე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ წარმატებით გამოიყენეს Google Docs სხვა საგნებსა და აქტივობებშიც, როგორიცაა აკადემიური წერა, ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები და ამ გზით გაუზიარეს სხვა სტუდენტებსაც კვლევის ფარგლებში მიღებული ცოდან და გამოცდილება, რისი მეშვეობითაც პროპაგანდა გაუწიეს Google Docs-ის გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში.
- აღნიშნული სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში შექმნილი და დანერგილი მოდელი განამტკიცებს მიმდინარე კვლევის ორივე ჰიპოთეზას, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკუკავშირისა და ქულების გამოყენება ერთმანეთის ნაწერების შემოწმებისას ხელს უწყობს სტუდენტების წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას, ხოლო სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენებით კიდევ უფრო დიდ როლს ასრულებს ზემოთაღნიშნული მიზნის მიღწევაში და უფრო ეფექტურია, ვიდრე ურთიერთშეფასებისას ქულების გამოყენება. ექსპერიმენტის ფარგლებში შეფასებული ტესტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კვლევის მონაწილე სტუდენტებმა გააუმჯობესეს აკადემიური მოსწრება ინგლისურის

როგორც უცხოური ენის წერის თვალსაზრისით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებმა შეფასების უნარებიც გააუმჯობესეს. თავდაპიველად, მათი და ლექტორის შეფასება ზოგჯერ ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი შეფასება უფროდაუფრო ემთხვეოდა ლექტორისას. ისინი ლექტორისგან იღებდნენ უკუკავშირს იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდნენ ისინი თანატოლებს, რამაც განაპირობა სტუდენტების შეფასებისა და კრიტიკული კითხვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

- SPSS 22.0 სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლონა, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების შედეგები საგრძნობლად გაიზარდა, ვინაიდან ქულათა საშუალო არითმეტიკული ექსპერიმენტის ფარგლებში დაწერილ ოთხივე ტესტში გაიზარდა, ხოლო ყველა ოთხ ტესტს შორის ყველაზე მაღალ ნიშნულს ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში მიაღწია (4.9815). შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში სტუდენტთა შედეგების სტანდარტული გადახრა იკლებდა, ვინაიდან ექსპერიმენტის შემდგომ ტესტში მან 1.45581-ით დაიკლო და -0.09623 გახდა. სტატისტიკურმა მონაცემებმა გამოავლინა, რომ ორივე ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა გაიუმჯობესეს წერის უნარ-ჩვევები. თუმცა, პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში (სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე) ექსპერიმენტის შემდგომი ტესტის შედეგების საშუალო არითმეტიკული იყო 4.9815, ხოლო მეორე ექსპერიმენტული ჯგუფის ქულათა საშუალო არითმეტიკული ექსპერიმენტის შედმგომ ტესტში იყო 4.8564, რაც პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგებზე 0.1161 ქულით ნაკლებია. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ურთიერთშეფასების ორივე ფორმა - სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე და სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით ხელს უწყობს წერის უნარ-ჩვევის განვითარებას და უფრო ეფექტურია, ვიდრე შეფასების ტრადიციული ფორმა, რომელიც საკონტროლო ჯგუფში იყო. თუმცა,

სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვინაიდან სტუდენტების შედეგების ზრდის მაჩვენებელი ოთხივე ტექსტში უფრო მაღალი იყო პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში, ვიდრე მეორეში. გარდა ამისა, სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გამოყენების გარეშე სტუდენტებისათვის უფრო სასურველიც აღმოჩნდა.

- აღნიშნული კვლევის მონაცემთა ანალიზის შემდეგ ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები. პირველ რიგში, კვლევის შედეგებმა გამოავლინა Web 2.0 და Google Docs-ის მნიშვნელობა 21-ე საუკუნის სტუდენტებთან - ციფულ თაობასთან მუშაობისას. ამრიგად, Google Docs-ის სწავლების პროცესში ინტეგრირება ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე თაობის სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვისთვის. გარდა ამისა, კვლევის შედეგემა გამოააშკარავა ისიც, რომ ინგლისურის როგორც უცხოური ენის წერის ლექციაზე ურთიერთშეფასების გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტების წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას. კვლევამ ასევე გამოავლინა ლექტორის სწორად და ცხადად მიცემული ინსტრუმენტების სასიცოცხლო მნიშვნელობაც. ასევე, გამოააშკარავა მისი უმნიშვნელოვანესი როლი ურთიერთშეფასების მონიტორინგისას, ამრიგად, გამოიკვეთა ლექტორის როლი, კერძოდ კი მისი მონიტორინგის და აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა ურთიერთშეფასების პროცესში, რაც გულისხმობს სტუდენტების ნაწერების ურთიერთშეფასების (უკუკავშირის) და ქულების გადამოწმებას, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთშეფასებისას სხვადასხვა მიკერძოების თავიდან არიდებას. ასევე, რეკომენდირებულია ლექტორმა მისცეს უკუკავშირი სტუდენტ შემფასებელსაც, იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტების კრიტიკული კითხვისა და შეფასების უნარის განვითარებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ რთული და შრომატევადიც შეიძლება იყოს, Google Docs-ის გამოყენებით ურთიერთშეფასება უფრო ეფექტურია და მოკლე დროში ხდება შესაძლებელი.

და ბოლოს, შესაძლებელია, სტუდენტების ურთიერთშეფასება (უკუკავშირი) ქულების გარეშე დავნერგოთ, მაგრამ სტუდენტების ურთიერთშეფასება ქულების გამოყენებით უკუკავშირის გარეშე არ არის რეკომენდირებული. გარდა ამისა, კვლევამ გამოავლინა, რომ სტუდენტებისთვის უკუკავშირი ქულების გამოყენების გარეშე უფრო სასიამოვნო პროცესი იყო, ვიდრე ქულების გამოყენებით.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

Merkviladze, M. (2018). Peer Feedback in Writing through Georgian EFL Undergraduate Students' Eyes. *Journal of Education in Black Sea Region, 3*(2), 2-9.

Merkviladze, M. (2018, March 31). Theoretical Analysis of Digital Tools for Promoting Peer Assessment in EFL Writing Classes. *SEPIKE, 19*, 42-48.

Merkviladze, M. (2017, December 31). Peer Assessment of Writing throughout EFL Teachers' Eyes: Case of Higher Educational Institutions of Georgia. *SEPIKE, 18*, 51-55.

Merkviladze, M., & Chkotua, M. (2016). Psychological Aspects of Teaching and Learning Writing. The 7th International Research Conference on Education, Language and Literature (pp.458-470). Tbilisi: International Black Sea University.